საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2573 2016 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამა ჰორიზონტი 2020 - კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში (2014-2020) საქართველოს მონაწილეობის შესახებ“ შეთანხმებისა და თანდართული კანონპროექტის „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენისა და მომხსენებლებად თ. მურღულიას, ლ. გიგაურის და დ. ლომინაშვილის დანიშვნის თაობაზე

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამა ჰორიზონტი 2020 - კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში (2014-2020) საქართველოს მონაწილეობის შესახებ“ შეთანხმება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლისა და

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარედგინოს საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

3. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამა ჰორიზონტი 2020 - კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში (2014-2020) საქართველოს მონაწილეობის შესახებ“ შეთანხმებასა და საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები **ლია გიგაური** და **თეიმურაზ მურღულია**, ხოლო ზემოაღნიშნულ კანონპროექტზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად ასევე დაინიშნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი **დავით ლომინაშვილი**.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**